საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

განკარგულება

2020 წლის 7 აპრილი N 7

კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს:

მუხლი 1. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერის მიზნით გამოყენებული იქნას მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებები და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში - ეროვნული ბანკი) განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან განხორციელდეს მოლაპარაკება და გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება მათთან 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სავალუტო სვოპ ოპერაციის შესახებ. სავალუტო სვოპ ოპერაციების პირობები განისაზღვროს მხარეთა შორის შეთანხმებით.

2. კომერციულ ბანკებთან და მათი მეშვეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს სავალუტო სვოპ ოპერაციები, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტით იყიდის უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით.

3. ამ განკარგულების შესაბამისი სვოპ ოპერაციების მაქსიმალური მოცულობა განისაზღვროს:

   ა) კომერციულ ბანკებისათვის 200 მლნ (ორასი მილიონი) აშშ დოლარით.

   ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის 200 მლნ (ორასი მილიონი) აშშ დოლარით.

4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ეროვნული ბანკის სვოპ ოპერაციის ათვისებისათვის, საქართველო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით განისაზღვროს მაქსიმალური ლიმიტები შემდეგი პრინციპების დაცვით:

   ა) თითოეული კომერციული ბანკისათვის სვოპ ოპერაციის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვროს საბანკო სექტორში თითოეული კომერციული ბანკის საბაზრო წილიდან გამომდინარე, იმ პირობით რომ მაქსიმალური წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. საბაზრო წილის გაანგარიშებისათვის გამოყენებულ იქნას ეროვნული ბანკში კომერციული ბანკის მიერ წარდგენილი ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებული თითოეული კომერციული ბანკის ლარით გაცემული წმინდა სესხების წილი.

   ბ) კომერციული ბანკის მეშვეობით თითოეული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სვოპ ოპერაციის მაქსიმალური ლიმიტი განისაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საბაზრო წილიდან გამომდინარე, იმ პირობით რომ მაქსიმალური წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. საბაზრო წილად გაანგარიშებისათვის გამოყენებულ იქნას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ეროვნულ ბანკში წარდგენილი ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებული ამ ოპერაციებში მონაწილე მიკროსაფინანსო

ორგანიზაციის წმინდა სესხების წილი ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წმინდა სესხებში. საბაზრო წილის გაანგარიშებაში არ იქნას გათვალისწინებული ის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით არიან პასიურ რეჟიმში და/ან არ გასცემენ სესხებს.

5. ამ განკარგულების შესაბამისად ეროვნული ბანკის სვოპ ოპერაცია განხორციელდეს შემდეგი პირობებით:

ა) სვოპ ოპერაციის გამოყენების პერიოდად განისაზღვროს:

ა.ა) კომერციული ბანკებისათვის 2020 წლის 15 აპრილიდან 2021 წლის 15 აპრილის ჩათვლით ამ განკარგულების შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში.

ა.ბ) კომერციული ბანკების მეშვეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის 2020 წლის 15 აპრილიდან 2021 წლის 15 აპრილის ჩათვლით ამ განკარგულების შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, ხოლო 2021 წლის 15 აპრილიდან 2021 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ყოველთვიურად ლიმიტის 1/6-ის შემცირებული ოდენობით.

ბ) 2020 წლის აპრილში შესაძლებელი იქნას ლიმიტის არაუმეტეს 50%-ის ათვისება, ხოლო 2020 წლის მაისიდან შესაძლებელი იქნას ლიმიტის სრულად 100%-ის ფარგლებში ათვისება.

გ) სვოპ ოპერაციის ვადად განისაზღვროს ერთი თვე.

დ) კომერციულ ბანკს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიეცეს უფლება ყოველთვიურად აითვისოს სვოპის განსხვავებული თანხები მათთვის ამ განკარგულების შესაბამისად დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

ე) სვოპ ოპერაციის განაცხადი წარდგენილ იქნას ბლუმბერგის სისტემით სვოპ ოპერაციის ანგარიშსწორების წინა საბანკო დღეს.

ვ) სვოპ ოპერაციის ანგარიშსწორება განხორციელდეს ყოველი თვის 15 რიცხვში.

ზ) სვოპ ოპერაცია განხორციელდეს ლარისა და აშშ დოლარის სავალუტო წყვილზე.

თ) სვოპ ოპერაციის სპოტ კურსად განისაზღვროს კომერციული ბანკის მიერ სვოპ ოპერაციის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღეს არსებული აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ი) სვოპ ოპერაციის ფორვარდული კურსის გაანგარიშება მოხდეს ფორმულით F = S * (1 + (T1-L1) * D / 365), სადაც F არის ფორვარდული კურსი, S არის აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, T1 არის ერთთვიანი TIBR1M საპროცენტო განაკვეთი, L1 არის ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული აშშ დოლარის ერთთვიანი LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთი, ხოლო D არის სვოპის ხანგრძლივობა დღეებში. S, T1 და L1 პარამეტრების დადგენა მოხდეს კომერციული ბანკის მიერ სვოპ ოპერაციის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღის მდგომარეობით არსებული მონაცემების საფუძველზე.

კ) კომერციულ ბანკს შეუძლია ახალი სვოპით მოახდინოს ძველი სვოპის დაფარვა.

6. ამ განკარგულების შესაბამისად განხორციელებული სვოპის მარჟა განისაზღვროს სვოპის თანხის 10%-ის ოდენობით. მარჟის თანხა უნდა განთავსდეს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის აშშ დოლარის სპეციალური დეპოზიტის ანგარიშზე. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილების შემთხვევაში:

ა) თუ სვოპის მარჟის ლარის ექვივალენტური თანხა იქნება სვოპის ლარის თანხის 17%-ზე მეტი, მაშინ ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკს მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს იმ ოდენობის აშშ დოლარი, რომელიც საკმარისი იქნება სვოპის მარჟის 10%-ის ოდენობის აღსადგენად;

ბ) თუ სვოპის მარჟის ლარის ექვივალენტური თანხა იქნება სვოპის ლარის თანხის 3%-ზე ნაკლები, მაშინ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს მოსთხოვს მარჟის 10%-მდე შევსებას, ხოლო კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს ამ მოთხოვნის შესრულება მომდევნო 2 საბანკო დღის განმავლობაში.

7. სვოპ ოპერაციაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კომერციულმა ბანკმა განაცხადი უნდა წარადგინოს ბლუმბერგის სისტემაში ეროვნული ბანკის სვოპ ოპერაციის შეტყობინებით განსაზღვრული წესით, რომელიც ამავდროულად ითვლება კომერციული ბანკის თანხმობად ამ განკარგულებით განსაზღვრული პირობების სრულყოფილად შესრულებაზე.

8. კომერციული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის ამ განკარგულებით გათვალისწინებული სვოპ ოპერაციით თითოეულ ჯერზე სარგებლობა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სვოპ ოპერაციამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ეროვნულ ბანკს ელექტრონულ ფორმით გაგზავნილი წერილით უნდა აცნობოს მისი მომსახურე ის ერთი (ან 5 ყველაზე დიდი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში მაქსიმუმ 2) კომერციული ბანკი, რომლის მეშვეობით განახორციელებს აღნიშნულ ოპერაციებს და მის მიერ გამოსაყენებელი სვოპ ოპერაციის მოცულობა.

ბ) არაუგვიანეს განაცხადის წარდგენის წინა სამუშაო დღისა, კომერციულმა ბანკმა ეროვნულ ბანკს ელექტრონული ფორმით ბლუმბერგის სისტემით უნდა გაუგზავნოს წერილი, სადაც ასახული უნდა იყოს მის მომსახურებაში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და მის მიერ გამოსაყენებელი სვოპ ოპერაციის მოცულობა.

გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის სვოპ ოპერაცია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან ელექტრონული ფორმით მიღებული წერილობითი ინფორმაცია იქნება შესაბამისი.

მუხლი 2. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარე კობა გვენეტაძე